საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 26 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საქმიანი განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 20 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 20

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფოსო, შვილები: ანდრია, მატილდა და ნინა ჟორდანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანიას**

გარდაცვალებას, ქ. თფილისში. გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან შაბათს, 25 იანვარს, საღამოს 4 საათ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ლანჩხუთში. ლანჩხუთში (ცხედარი იქნება კვირას 12 ს. დასაფლავება მოხდება იქვე სამშაბათს, 28 იანვარს. (2—2)

ღრმად დამწუხრებული და დისშვილი და სიძე იაკინთე შავარდნაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ექიმი **დიმიტრი იოსების ძე ჟორდანიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან შაბათს 25 იანვარს საღამოს 4 საათ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ლანჩხუთში (2—2)

გულ დათუთქული ცოლი ანატოლია ბავშვებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 26 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში დილის 12 საათზე დანიშნულია ნახევარი წლის პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილი

**ალექსანდრე ბესარიონის ძე ნემსაძის**

სულის მოსახსენიებლად. (2—2)

ღრმად დამწუხრებული ძმები: იოსებ და ბართლომე საყვარელის ძენი ურუშაძეები. რძლები: მატრონე ურუშაძისა და ელენე ირაკლის ასული ურუშაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ ამხანაგებს, რომ 19 იანვარს, თფილისის საავადმყოფოში სახადით გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ფოთის სადგურის ტელეგრაფისტი

**ილარიონ საყვარელის ძე ურუშაძე**

დასაფლავება მოხდა 24 იანვარს, ქალაქ თფილისში რკინის გზის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი: რძალი ცუცქა და მერი, ძმა სერაპიონ და კლიმენტი გრიგოლიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს დილის 12 ს. ქაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი სომხებთან ომში მოკლულ კაპ.

**იასონ მელიტონის ძე გრიგოლიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ სადგურზე და იქიდან ს. საჯილაოში. დასაფლავება იქვე მოხდება 30 იანვარს დილით, ხუთშაბათს.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დედა ლიზა, მამა მელიტონი, და ძმა სერგო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს 26 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში დილის 12 საათ. გადახდილ იქნება პანაშვიდი სომხებთან ომში მოკლულ კაპიტ.

**იასონ მელიტონის ძე გრიგოლიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ სადგურზე და იქიდან ს. საჯილაოში. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 30 იანვარს.

ქალაქის სამკურნალოს მოსამსახურე ფარმაცევტები აუწყებენ ყველა ამხანაგებს ამხანაგ პროვიზორის

**კირილე ანდრიას ძე ჯაჭვაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 26 იანვარს (ახ. სტ.) ნაძალადევიდან (პარკოვსკი ქუჩა № 27 საკუთარი სახლი) წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

თფილისის მედვინეთა კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას კავშირის წევრის

**დავით (დარჩო) სერგეის ძე ოვაკიმოვის**

გარდაცვალებას და ამასთან ერთად სთხოვს კავშირის წევრებს პატივი სცენ მიცვალებულს პანაშვიდზე და გამოსვენებაზე დასწრებით. მიცვალებულს გამოასვენებენ საკ. ბინიდან (სერებრიანი ქ. № 26) დღეს, 26 იანვარს, დილის 10 საათ.

თფილისის მზარეულთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს და ამხანაგებს დაუვიწყარ ამხანაგის

**ნოე თარხანის ძის თედორაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 24 იანვარს. გამოსვენება დღეს საღამოს 4 საათ. ბინიდან—გიორგის ქ. № 5. წაასვენებენ სადგურზე და იქიდან გურიაში.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელენე ერასტის ასული შვილებით, დაი სონა, ძმა ლევანი მეუღლით და სიდედრი დესპინე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ომში გმირულად დაღუპულ სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

**სანდრო მაისურაძის**

სულის მოსახსენებლად მეორმოცე დღე დანიშნულია 28 იანვარს. წირვა ანჩისხატის ეკლესიაში დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი საძმო სასაფლაოზე ნაშუადღევის 4 საათზე. (2—1)

გულდათუთქული მშობლები: მარკოზი და მარიამი; ძმები: სვიმონ და სოფიო შვილებითურთ, ლეონტი მეუღლე ლუბათი და მიხეილ მიქელაძეები, და ანასტასია, სიძე სვიმონ რუსიევი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა შვილი, მეორეთა და მესამეთა ძმა და ცოლის ძმა.

**გოგა (გიორგი) მარკოზის ძე მიქელაძე**

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება კვირას, იანვრის 26-ს (პლოტნიცკის ქუჩა № 104) წირვის მოსმენა ნაძალადევის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო იოანეს ასული, დედა ეკატერინე, დაი დომნა, ძმები: მიხეილ და ილია მიქაუტაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**გიორგი მამანტის ძე მიქაუტაძე**

გამოსვენება კვირას 26 იანვარს, დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 99. მიასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## პარტიები არჩევნებში

თფილისის ქალაქის არჩევნებში გამოდიან ქართველი ნაციონალისტები და რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია. პირველთა ზნეობრივი და პოლიტიკური ფიზიონომია აშკარა და ნათელია. ვინ არ იცნობს ვეშაპელის კაციჭამიობას, გვაზავა-კედიას ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ სულისკვეთებას. ვინ არ იცნობს ჩვენს მეოცნებე სოც.-ფედერალისტების და ესერების უნიადაგობას და უიმედობას. ვინ არ იცის, რომ ისინი ნაციონალისტურ ჯგუფებსაც მიწვდენ და სოციალისტურსაც ვერ მიუდგნენ და ამრიგათ ჰაერში გამოკიდული დარჩნენ. მათი არსებობის ორი მთავარი დერძი იყო ნაციონალიზმი და სოციალიზაცია. პირველი ნაციონალისტებმა მიისაკუთრეს, მეორე ხალხმა და ცხოვრებამ უარჰყო, მოჰკლა და ახლა ეს ჯგუფები დაფარფატებენ ცის სივრცეში, როგორც დედა-პლანეტაზე მოწყვეტილი მეტეორი და არავინ უწყის სად დაეცემიან.

დარჩა „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტია". ეს სახელი ჩვენმა მკითხველმა კარგათ იცის.

ჩვენ ყველანი ამ პარტიის შვილნი ვართ, მის კალთაში აღზრდილნი. ჩვენი ტაქტიკა-პროგრამა, ლოზუნგები ამ პარტიის წიაღში მიგვიღია.

მხოლოდ დამოუკიდებლობის შემდეგ ჩვენ ამ სახელს პირველი სიტყვა შევუცვალეთ, ახალ პოლიტიკურ მდგომარეობის მიხედვით: საქართველოს ს. დ. მ. პ. დავირქვით, აზრი და შინაარსი კი ძველი დავტოვეთ. შეიზღუდა ტერიტორია ჩვენი მოქმედებისა, შეიცვალა პოლიტიკური სხეული, მაგრამ არ შეცვლილა პროგრამა და ტაქტიკა. არ შეცვლილა ხაზი ჩვენის მუშაობისა.

მაგრამ აქ მოხდა ერთი საკვირველება. ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებმა ისარგებლეს დატოვებული სახელით, აიღეს იგი ხელში და ამ ფირმით გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ. მათი მიზანი აშკარაა—შეჩვეული სახელით უნდათ შეცდომაში შეიყვანონ გულუბრყვილო ამხანაგები.

ვინ დგას ნამდვილათ დღეს ამ დროშის ქვეშ? ვინ ატარებს რუსეთის ს. დ. მ. პ. სახელს? ეს ის ხალხია, რომელმაც თავის მოღვაწეობა ამრჩევლების ღალატით დაიწყო. ეს ის ხმოსნებია, რომელნიც თფილისის კომიტეტმა წამოაყენა, თფილისის დემოკრატიამ აირჩია, და რომელთაც იმავე კომიტეტის წინაშე პირობა დასდვეს, თუ არ დაემორჩილებოდნენ მანდატზე ხელი უნდა აეღოთ.

მაგრამ, რა მოიმოქმედეს?

პარტიის გამოეყვნენ, დემოკრატიას გამოეთიშნენ და მანდატს კი მაგრათ ჩაებღაუჭნენ. თფილისის კ-ტის განცხადება მათ ყურადღებოთ დასტოვეს და მორჩილების ნაცვლად მის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ამ რიგათ ეს ხალხი, რომელიც სდგას დისციპლინის გარეშე და რომელთაც რუსეთის სოც.-დემ. პარტიიდან შეითვისეს მხოლოდ მისი ნაკლი, რომელსაც ჩვენ მუდამ ვებრძოდით... ინტრიგანობა, განხეთქილება, უდისციპლინობა, მასაში არევდარევის შეტანა, ხოლო უარყვეს რუსეთის სოც.-დემ. ყველა დადებითი მხარეები—მარქსისტული ტაქტიკა, პროლეტარული, კლასიური პოზიცია და ერთა სოლიდარობა.

ამ „რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის" შემარცხვენელთა სიას მეთაურობს ა. ზურაბოვი, რომელმაც თავი ისახელა დაშნაკცაკანების კუდათ გადაქცევით, ომის დროს გვირჩევდა გულხელდაკრეფით ყოფნას, როცა დაშნაკელები ხმალ ამოწვდილი მოადგნენ თფილისს. გვირჩევდა გვარდიელებს არ ეომნათ, როცა ჯარი ჯერ კიდევ მოგროვილი არ იყო. ერთი სიტყვით იწყოდა ზურაბოვის საკადრისს მოღვაწეობას.

ჯგუფის წევრები დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა დასჩხავიან ჩვენს საქართველოს, თქვენ ვერ იარსებებთ, თქვენ პირველი მოფრენილი ქორი წაგიღებთ, თქვენ თათრები შეგჭამენ და სხვ. ამ ჯგუფის წევრები დღე მუდამ წუწუნებენ: საქართველოს მთავრობა დემოკრატიული არ არის, მას ნდობა არა აქვს, იგი რეაქციას ემსახურებაო და სხვ. ეს ვაჟბატონებია, რომ ქალაქის თვითმართველობაში ხუდადოვ-თუმანოვებს გვერდში ამოუდგნენ და მათთან ერთად მიტინგათ აქციეს ქალაქის საბჭო, რათა ხელი შეეშალათ თვითმართველობის ყოველგვარი დადებითი მუშაობისათვის. ეს ხალხი იქიდან უთხრიდა ძირს საქართველოს დემოკრატიის ოფლით ნაშენს, სადაც ხელი მიუწვდებოდა.

ახლაც ისინი ასეთ მოწინააღმდეგე ელემენტებზე იმედოვნებენ. მათი ხმებით ხმოსნობის სავარძელში ჩასკუპებას ცდილობენ, რომ იქიდან კვლავ ეომონ ჩვენს დემოკრატიას.

დემოკრატიას ჰმართებს სიფრთხილე და გამჭრიახობა მათ მიმართ! მათ იციან ძველი სოციალისტური ლექსიკონი, რომლითაც უხვათ ისარგებლებენ. მაგრამ მათ სიტყვებს უკან იფარება მტრული საქმე და ბოროტი ზრახვები. მტრული საქმე საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ და ბოროტი ზრახვები ერთა სოლიდარობის წინააღმდეგ. მათ თავის სამოქმედო ასპარეზათ აირჩიეს უმთავრესათ სომხის და რუსის მუშა ხალხი, რომ ამ ეროვნებების ჩამოშორებით გათიშონ, გაათვალკვეთონ თფილისის მრავალეროვანი მუშა ხალხი და ამით ძირი გამოუთხარონ მთელ დემოკრატიას. ერთა სოლიდარობის ნიღაბ ქვეშ იფარავენ წმინდა ნაციონალისტურ ინტერესებს. „რუსეთის" პარტიით თავის დასახვით ააშკარავებენ თავის მტრულ განწყობილებას საქართველოს რესპუბლიკისადმი და მის აბუჩათ აგდებას. აბუჩათ იგდებენ თვით ამრჩეველთაც, რადგან სარგებლობენ დემოკრატიის მოპოვებულ სრული თავისუფლებით, რომ ამ თავისუფლების ბურჯს ლახვარი ჩასცენ ზურგში. „ინტერნაციონალური" უკიდურესი სოციალისტობის სახელით ფარავენ თავის წვრილმან ინტრიგანობას და ჯგუფურ ინტერესებს. მთავარი ძარღვი მათი უკმაყოფილებისა არის ქართული ენა, ენა საქართველოში მცხოვრებ დემოკრატიის 99 პროცენტისა. მათი საფრთხობელაა—ნაციონალიზაცია, რაიც ჩვენს პირობებში ნიშნავს დაწესებულებების ხალხთან დაახლოვებას, მაგრამ მათგან კი დაშორებას, რადგან ამ ჯგუფში ქართველი ენის მცოდნენი თითქმის არ მოიპოვებიან. ამიტომ „გაუმარჯოს ქართულ ენის შეზღუდვას და... რუსულის გაბატონებას" ო. აი მათი ლოზუნგი. ამით აპირებენ თავის ჯგუფური ინტერესების დაცვას ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. ცხადია ამ ნიადაგზე მათ ლაშქარს მოემატება მეხელეჩინოვნიკობა, რომელსაც იგივე გულისწუხილი აქვს.

მაგრამ დემოკრატიამ მით უმეტეს უნდა შეაქციოს მათ ზურგი და მათი სრული დამარცხებით დაამტკიცოს, რომ ტკბილი სიტყვებით და შუბლზე კარგი სახელის მიწებებით მას ვერავინ შეიყვანს შეცდომაში.

დემოკრატ. ყავს თავისი ცნობილი ბელადები, აქვს თავისი ნაწრთობი ტაქტიკა, თავის სამოქმედო გეგმა და გზა ამ გეგმის განხორციელებისა. იგი გაბედულათ მიდის წინ—დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ, გაბედულათ და მტკიცეთ ებრძვის ყოველგვარ მოწინააღმდეგეს იარაღიანს და უიარაღოს, ლამაზი ფრაზებით შემკულს და თოფ-ზარბაზნებით შეჭურვილს. იგი არჩევნებშიაც ისეთი მკვეთრია, როგორც ფრონტზე. და ყველგან ატარებს თავის კლასობრივ, უტყუარ პოლიტიკას. მომავალ არჩევნებშიაც იგი ამ გზას არ გადაუხვევს.

## ქალაქის არჩევნები

საარჩევნო ბრძოლა მწვავდება. საერთო გულგრილობა თითქო გაქრა და მისი ადგილი არჩევნებისადმი ინტერესმა დაიჭირა.

ვინ აირჩიონ, ვინ გააშაონ?

გაზეთი „საქართველო" უკვე შეუდგა თავის ქებას. „ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის წარმოება შეუძლიან მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიასო" (№ 17), და ეს „ნამდვილი ეროვნული პოლიტიკა" არის სომხო-ჭამიობა. მან ნახა ს.-დ. კანდიდატთა სიაში ამხ. სომხების გვარი და ჩვეულებრივ პროვოკაციას მიჰყო ხელი: „იმის ნაცვლად, რომ სოციალ-დემოკრატიამ გასწმინდოს ქალაქი სომხებისაგან, იგი მათ გაძლიერებაზე იღვწისო". ერთი სიტყვით ჰკათ სომხებსო!.. და სომხების წინააღმდეგ ქადაგებით ჰგონია, რომ ქართველ ამრჩევლებს თავის შოვინისტური დროშის ქვეშ დარაზმავს.

ნაციონალისტი მუდამ და ყოველგან ნაციონალისტია. ყველა ერების გაბატონებული კლასი ასე იქცევა. თვითეულ მათგანს თავის საკუთარი ინტერესი მთელი ხალხის ინტერესათ გამოაქვს, თავის ხალხს სხვა ერს უპირდაპირებს და ასე ბრძოლის ნამდვილ შინაარსს აფუჩეჩებს.

აქ მუნიციპალურ საკითხებზე, თვითმართველობის მოვალეობაზე და დანიშნულებაზე როდი ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ თუ ვინ აირჩიონ: ქართველი თუ სომეხი. აქ იბრძვიან არა იმისთვის, რომ ქალაქის მეურნეობა უკეთ დააყენონ, მისი სიმდიდრე მის მკვიდრთ მოახმარონ, არამედ იმისთვის, რომ თვითონ გაბატონდნენ. კლასიურ ეგოიზმს ეროვნულ მანტიაში ხვევენ, თავის ხალხს სხვა ეროვნებას უსისინებენ და ეროვნული სოლიდარობის მაგიერ შუღლს და მტრობას თესავენ.

ამ ეროვნებათა ბრძოლას, ამ შოვინისტურ პრინციპს, დემოკრატიამ საკუთარი პრინციპი უნდა დაუპირდაპიროს. ესაა—პრინციპი სოლიდარობის, ყველა ეროვნების მუშათა მასის ერთობა.

ეროვნული ბრძოლის მაგიერ—კლასიური ბრძოლა, ეროვნული განხეთქილების მაგიერ—ყველა ერთა მშრომელი მასის სოლიდარობა.

აი დემოკრატიის მიზანი, აი მისი დროშა.

საქალაქო ვიწრო ნაციონალისტური პოლიტიკა, თუ ფართე ინტერნაციონალურ-სოციალური პოლიტიკა; დემოკრატია თუ ნაციონალისტები—აი რა უნდა გადასჭრას მომავალმა ქალაქის არჩევნებმა და ჩვენ გვჯერა თფილისის ამრჩეველთა უმეტესობა ხმას მისცემს იმ პარტიას, რომელიც იცავს ყველა ერის ჩაგრულთ და გაყვლეფილთ, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას, რომელიც ისწრაფვის მთელი კაცობრიობის თანასწორობა-ბედნიერებისაკენ.

ესაა—სოციალდემოკრატია.

არც ერთი ხმა ნაციონალისტებს...

## პრესა

„ზაკავკაზსკოე სლოვო" იქნია კუდი და ბოლოს ისევ დაშნაკელების პოზიციის გამართლებას შეუდგა. ამ გაზეთსაც არ მოსწონს ქვეშევრდომობის კანონი, არც არჩევნების დროზე დანიშვნა მიაჩნია ხელსაყრელათ. ამიტომ ბოიკოტს ის ამართლებს და ასეთ დასკვნებს აკეთებს:

„არ არის საჭირო წინასწარმეტყველათ ყოფნა, რომ წინდაწინვე მიხვდე, თუ როგორი იქნება მომავალი საბჭოს შედგენილობა. ნაციონალისტური პრინციპი, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს პირობებში, სჩანს გამარჯვებული დარჩება. და ჩვენ თფილისში იქნება ცალმხრივათ შედგენილი ბჭო, რომელიც ვერ ისარგებლებს პოპულიარობით და ავტორიტეტით მრავალ ერიან ქალაქის მცხოვრებთა ფართო მასაში".

„ამიტომ, ჩვენ თუმცა არ ვიზიარებთ ბოიკოტის იდეას, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ ის აზრი, რომ თფილისის მთელი მცხოვრებლების დასაკმაყოფილებლათ ჯერ კიდევ გვიან არ იქნება გადაწყვეტილება გადაისინჯოს და არჩევნები გადაიდოს ახალი ვადისათვის და შეუდგეთ ახალ საარჩევნო სიების შედგენას".

ეს არის ის დასკვნა, რომლის გამოყვანა სურდა თვით დაშნაკელებს. და „ზაკავკაზსკოე

# დღეს

**ხომეხ ლტოლვილთა პირველი მატარებელი გუშინ გავიდა თფილისიდან, მეორე მატარებელი ერევნისკენ დღეს გავა.**

---

**ჰამბურგში სპარტაკელების ახალი აჯანყება მთავრობამ იარაღით ჩააქრო. რურის რაიონში გაფიცვა შესწყდა. 23 იანვარს ყველა მაღაროებში განახლდა მუშაობა.**

---

**შეიდემანის განცხადებით, გერმანიის ეროვნული კრების არჩევნების შედეგმა სავსებით გაამართლა სოც.-დემოკრ. ლიდერების მოლოდინი.**

---

**საერთაშორისო საზავო კონფერენცია ზომებს იმუშავებს, თუ რა სახით იქნება შესაძლებელი რუსეთისთვის დახმარება.**

---

**ინგლისელებმა და ფრანგებმა თავის თავზე მიიღეს ბაღდადის რკინის გზასთან ერთად ოსმალეთის რკინის გზების მართველობა.**

---

სლოვო" განა დააყენებდა მეგობრის იმედის ასრულებას?

მრავალ ერიან ქალაქში ვერ ისარგებლებს ნდობით მომავალი საბჭოო, ბრძანებს გაზეთი. ალბათ მათ სომხის ორი პარტია, თუნდაც „გავლენიანი" მრავალ ერების წარმომადგენელი ჰგონია. „ზაკავკ. სლოვო" უნდა მოეხსენებოდეს, რომ სომხების ამ პარტიების გარდა ბიიკოტს არავინ აცხადებს, მაშასადამე სხვა ერების „ფართო მასსებს" თავის წარმომადგენლები ეყოლებათ საბჭოში. გათიშული დარჩებიან მხოლოდ სომხის ბურჟუაზიული წრეები და ისიც მათი წარმომადგენელი პარტიების „გონიერი" ბუტიაობის წყალობით...

აღსანიშნავია ისიც, რომ მოქალაქეობის კანონი განსაკუთრებით სწვავს გულს ყველა ჩვენი რესპუბლიკის ორგულებს. ისინი გაჰკივიან მუდამ მის უვარგისობასა, ულოღიკობასა და გოუგებრობაზე.

ხოლო ის დემოკრატია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ჰქმნის და შიგ თავის იდეალებს ანხორციელებს ამ კანონით ერთხელაც არ დარჩენილა უკმაყოფილო. აქედან სჩანს, რომ ამ კანონის მწვეტიანი თავი სწორეთ ამ მტრებისა და ორგულებისაკენ არის მიმართული. და ეს არის მისი ღირსება და არა ნაკლულევანება საქართველოს რევოლიუციური დემოკრატიისათვის.

* * *

„თფილისის ლისტოკი" ჩვენ გვიკიჟინებს ნაციონალისტობას და ასეთ სტრიქონებს სწერს:

„აიღეთ თუნდა სოციალდემოკრატიული „ერთობა" და თქვენ განცვიფრდებით, რა სასტიკათ ესხმის თავს ეს გაზეთი საქართველოს დემოკრატიის წრფელ მეგობრებსაც, თუ იგინი რამდენიმეთ მაინც შეერთებული არიან სისხლის ნათესაობით და კულტურით სხვა რომელიმე ეროვნებასთან".

ჩვენ ამ ბრალდების უარყოფას არ შევუდგებით, მხოლოდ ერთს ვეტყვით ამ პატივცემულ ორგანოს და მის ხელმძღვანელ პროფესორებს: აბა დაგვისახელონ თუნდ ერთი ადგილი, ერთი ამონაწერი ჩვენი გაზეთიდან, სადაც უცხო ტომის პირს ვაძაგებდეთ იმისთვის, რომ უცხო ტომისაა, და თუ ვერ მოიყვანს ასეთ ამონაწერს, თავის ნათქვამი უკანვე წაიღოს. იმაზე დაყრდნობა, რატომ „გრუზიას" არ ეპყრობა ჩვენებრ სასტიკათ, საბუთათ არ გამოდგება. ჩვენი დემოკრატიისთვის „გრუზია" დიდი ხანია ცნობილია, როგორც შოვინისტური გაზეთი და მას არავითარი გავლენა ჩვენს მასაში არ აქვს.

ბ. „თფილისის ლისტოკი" „ზაკავკ. სლოვო" და მათი მსგავსნი კი დემოკრატიზმის სამოსელში ეხვევიან, ამ სამურველით უნდათ თავის ყალბი აზრები მოახვიონ ხალხს თავზე და ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ენერგიით ვებრძვით მათ და ვააშკარავებთ მათი ნათქვამის ნამდვილ შინაარს. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ გულახდილობას და პირდაპირობას ვიჩენთ, ეს დასაძრახისათ არ უნდა ჩაგვეთვალოს. თუ მკაცრი ვართ, ეს იმიტომ, რომ აკადემიური მსჯელობის დრო არ გახლავთ. დღეს ბრძოლის ხანაა: ჩვენ მტრებს ვებრძვით და ვინც ხელს გვიშლის ამაში, მასთან საბოდიშოთ არა გვცალია...

# აზია და ევროპა

### ანუ სოც.-ფედერალისტები.

ახირებული ხალხია სოც.-ფედერალისტები. მათ გულს უკლავს აგრარული კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო სოც.-დემოკრატების დაჟინებითი მოთხოვნით სოც.-ფედერალისტების, ესერების, ნაციონალ დემოკრატების და სხვა მემარჯვენეთა წინააღმდეგ.

მათ ვერ მოუსვენიათ, რომ სოც.-დემოკრატიამ მტკიცეთ გადასწყვიტა ხალხს მიწა მისცეს მკვიდრათ ხელ ჩასაჭიდათ ისე, რომ მან შესძლოს მისი წიაღიდან რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის ამოღება.

დღეიდან გლეხი მემამულეს ამდიდრებდა, დღეიდან ეს დოვლათი თავის ოჯახშივე დატრიალდება.

მაგრამ ფედერალისტებს გაუმტყუნდათ თავის ოცნება—„სოციალიზაცია", თუნდაც შეკვეცილი და განახევრებული, როგორც მათ პროგრამაშია. და ასე წუწუნებენ: „სოციალ-დემოკრატებმა მოგვახვიეს თავზე მეურნეობაში გამტყუნებული კერძო მეურნეობის სისტემა, რომელმაც ჩვენი მეურნეობა სამარის კარამდე მიიყვანა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარლამენტმა უარჰყო ევროპიული ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში და ის დააღგა ველურ-აზიურ ინსტიქტებს წარმოებაში. დავიწყებულია და დაგმობილია ყოველივე სისტემა მეურნეობისა, განმტკიცებულია გაუთლელ და ველურ აზრების შემოქმედება და მეურნეობა მიანდვეს მიწით მოვაჭრეებს, გირავნობის ფურცლებს, რენტებს და მოიჯარადრეებს. დღემდე ჩვენ გვახრჩობდა მევახშეობა ფინანსიურ პოლიტიკაში და ამიერიდან ეს ველურობა საფუძვლად დაუდვეს სოციალ დემოკრატებმა მიწის მფლობელობას და მიწის სპეკულიაციას.

ამ გზით საქართველოს ცხოვრება, რასაკვირველია, კიდევ უფრო დაეცემა, დაკნინდება, ხალხი გაღატაკდება, გაველურდება და ჩვენ დავინახავთ, ჩვენი ხალხი ამ აზიურ პოლიტიკის გამო მუდამ წყევით და კრულვით გვიპასუხებს".

ამრიგათ ჩვენ შემოგვიტანია აზია, ხოლო სოც.-ფედერალისტებს ევროპის შემოტანა თურმე სურდათ. საბუთი? ის, რომ ევროპაში კოოპერატიული მოძრაობაა სოფლად და ქალაქათაც. მერე რა აქვს ამას საერთო იმ უტოპიასთან, რომელსაც სოც.-ფედერალისტები გვაჩრიდენ ხელში და რომელსაც „მორცხვი სოციალიზაცია" უნდა ეწოდოს? სრულიად არაფერი. ევროპაში არცერთი პარტია აღარ არის სოც.-ფედერალისტების და ესერების პროგრამისა. იქაური უტოპისტები უკვე ჩაბარდა ისტორიას და მათი ადგილი სოც.-დემოკრატიამ დაიჭირა. ჩვენში კი, ჩვენი ჩამორჩენილობის გამო, ეს მეოცნებენი კიდევ ბოგინობენ. „აზიურობა არის კერძო საკუთრების ცნობაო"—ბრძანებენ ეს ახალმოდის ევროპიელები. მაგრამ ავიწყდებათ, რომ სწორეთ აზიას არ აქვს კერძო საკუთრების ინსტიტუტი განვითარებული, იქ ხარობს კიდევ პირველყოფილი თემური მიწადმფლობელობა, ე. ი. სანატრელი საგანი სოციალიზაციის მომხრეთა. ხოლო ევროპაში კერძო საკუთრება განვითარდა და დღეს უკვე ამ საკუთრების შეზღუდვაზე მიდგა საქმე. ამრიგათ სოც.-ფედერალისტებმა აურიეს ერთმანეთში წარსული პირვანდელი კომუნიზმი და მომავალი კოლექტივიზმი ევროპაში. აზიაში დაბრუნებას გვიქადაგებენ და გვიმტკიცებენ, ევროპაში მივდივართო. რა გასაკვირველია, რომ ასეთ გზა-აბნეულ მეოცნებე ხალხს გლეხებისათვის კერძო საკუთრებათ მიწების მიცემა ქვეყნის დანგრევათ ეჩვენებოდეს? მაგრამ ჩვენს გლეხებს და საერთოთ დემოკრატიას, რომელიც ცხოვრებასთან ახლოს დგას—კარგათ ესმის ფასი და მნიშვნელობა ამ რეფორმის. ისინი შესძლებენ კიდეც ამ მიწის გამოყენებას მეურნეობის ასაყვავებლათ და არა დასაქცევითებლათ.

# ქართველ-სომეხთა კონფერენციის დადგენილებები

საქართველოს და სომხეთის მთავრობათა წარმომადგენლების კონფერენციამ, რომელიც შესდგა ბრიტანეთის ჯარების პოლპოლკოვნიკის სტუარტის მონაწილეობით და თავმჯდომარეობით 9—17 იანვრამდე მიიღო შემდეგი დადგენილებანი:

დაესწრნენ: მოკავშირეთა ჯარების წარმომადგენელი და კონფერენციის თავმჯდ. პოლკ. ნ. სტიუარტი, საფრანგეთის წარმომადგენელი, საფრანგეთის ჯარის კაპიტანი ნ. გახფელდი, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი: ე. პ. გეგეჭკორი, ნ. ბ. რამიშვილი, გ. დ. ჟურული, გენ. გედევანიშვილი, კ. ბ. ხაბახტარიშვილი, კ. პ. კანდელაკი, ა. ბ. მდივანი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე.

სომხეთის მთავრობის წარმომადგენელნი: მ. არუთიუნიანცი, ხტ. მამიკონიანცი, გენ. ყორღანოვი, ს. ხაჩატურიანი, გრ. ტერ-ხაჩატურიანი, არ. ხონთქარიანი.

**I. საზღვარი ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში.**

ა) ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში ჩრდილოეთის საზღვრად არის ის ხაზი, რომელიც აერთებს პუნქტებს, რაიც საქართველოს ჯარების ნაწილებს ეკავა 1918 წლის 31 დეკემბერს ახალის სტილით 24 საათზე.

ჩრდილო საზღვრით ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში, ვიდრე ადგილობრივათ შეიცვლებოდეს ეს იმის მიხედვით, თუ როგორ ისარგებლებენ სასოფლო საზოგადოებები მამულით, ჩაითვალოს:

ლეგლი-დაგი, პირდაპირი ხაზი მთაგრეხილზე ს. ირგანჩაით, პირდაპირი ხაზი 798 სიმაღლით, შემდეგ კულუტაშის სიმაღლით (855,5) სიმაღლე 676, სოფ. საატი, სიმაღლე 910, სიმაღ. 739, ს. ჯანდარი, სიმაღ. 735, სიმაღ. 694, ს. ახ—კერპი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოპრეტით, სიმაღ. 492, სოფ. ხოჯორნის ეკლესიის ნანგრევები, სოფ. ბარდაზორი—ს. სადახლო, სად. სადახლო—სიმაღლე 1554, რაიც სადახლოდან სამხრეთით იმყოფება, ამის შემდეგ 2660 სიმაღლემდე (ტაპადაგის მთა) შემდეგ როდნიკამდე, რომელიც ხაჩა-კალას სამხრეთით არის—პალტული—ბაშის მთა.

ს. ირგანჩაი, ს. საატი, ჯანდარი, ახ-კერპი, ოპერტი, ხოჯორნი, ბარდაზორი, სადახლო, რჩებიან ჩრდილოეთით ზემო გაყვანილი ხაზისა.

ბ) სამხრეთ საზღვრათ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონისა ითვლება ყოფილი ხაზი, რომელიც ოსმალებს ეკავათ,—ხაზი დისიხ—ჯალალ-ოღლი, რაიც განსაზღვრულია 25 დეკემბერს 1918 წ. შეთანხმებით, რომელიც ხელმოწერილია გენ. რაიკფორტის, პოლ. შარდინის და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიას მიერ, რომელ დადგენილებასაც ხელი მოაწერა სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა მ. არუთინიანცმა 29 დეკემბერს 1918 წ. სოფ. კარაკლისში.

**II. ქართველთა და სომეხთა ჯარების რაოდენობა ბორჩალოს მაზრაში და საქართველოს ჯარების რაოდენობა ახალქალაქის მაზრაში.**

1) ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილში იქნება საქართველოს ჯარები:

ა) მოსაზღვრე ჯარის რაზმები საერთო რიცხვით არა უმეტეს ორასი კაცისა—ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოპრეტამდე.

ბ) აზაგა-სერალის სადგურთან სამი როტისაგან შემდგარი ბათალიონი, არა უმეტეს 360 ჯარისკაცისა, ამათ რიცხვში ჩაითვლება ჯარის მოსამსახურე პირები; ტყვიისმფრქვეველთა როტა ოთხი ტყვიის მფრქვეველით არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზნით საჭირო მოსამსახურეებით ამ ბატალიონიდ ან შეიძლება დარაჯების დაყენება ოფრეთის და სადახლოს სოფლებთან თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 60 ჯარისკაცისა.

გ) მოსაზღვრე დარაჯების რაზმი საერთო რიცხვით, არა უმეტეს 50 კაცისა სადარაჯოებზე როდნიკიდან ვიდრე მდ. ხრამი მტკვარს შეუერთდებოდეს.

**2) სომეხთა ჯარები ბორჩალოს მაზრაში:**

ა) ერთი როტა არა უმეტეს 125 ჯარისკაცისაგან შემდგარი, ამაში შედიან მოსამსახურენი. ეს როტა იდგება სადგ. კალაგერანში, ს. დისიხში.

ბ) ჯალალ-ოღლის რაიონში, გერგერის ახლოს, გერგერში და ნიკოლაევკაში, 3 როტისაგან შემდგარი ბათალიონი საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა, ჩაითვლებიან ჯარის მსახურნიც, ტყვიისმფრქვეველის როტა 4 ტყვიისმფრქვეველით არა უმეტეს 50 ჯარისკაცისა, 2 ზარბაზნით შესაფერისი მსახურით.

გ) ერთი როტა არა უმეტეს 125 ჯარისკაცისაგან შემდგარი, რომელთა რიცხვში ჩაითვლება მსახურნიც. იდგომება საუფლისწულო მამულში (ბერიოზოვაია ბალკა) ნოვოპოკროვკაში.

დ) საერთოდ საქართველოს ჯარები ბორჩალოს ჩრდილო ნაწილში წალკითურთ და სომხეთის ჯარები ამავე მაზრის სამხრეთ ნაწილში არ უნდა აღემატებოდეს 660 ჯარისკაცს, თითოეულ ნაწილში შესაფერისი საარტილერიო მსახურთა და ზარბაზნებით.

ე) მხარეებს უფლება აქვთ ქვეითი ჯარები შესცვალონ ცხენოსნით.

ვ) ორივე მხარე კისრულობს ა, ბ, გ, პუნქტებში მოყვანილი პირობების შესრულებას ახალი სტილით 14 იანვარს, 1919 წელს 24 საათზე.

2) საქართველოს გარნიზონი ახალციხის მაზრაში არ აღემატება 225 ჯარისკაცს ქვეითა ჯარისა (2 როტას) და ერთ ტყვიის მფრქვეველთა რაზმს, რომელსაც ორი ტყვიის მფრქვეველი ექნება.

**III. დემობილიზაცია.**

ა) მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგენ დემობილიზაციას 15 იანვრიდან და დაათავონ ის 1919 წლის 21 იანვარს; ჯარი უნდა იყოლიონ იმდენი, რამდენიც იყო მშვიდობიანობის დროს.

**IV. სამხედრო ტყვეების გაცვლა და დაკავებულთა განთავისუფლება.**

ა) ორივე მხარე ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეუდგნენ სამხედრო ტყვეების გაცვლას და იმ დაკავებულთა განთავისუფლებას, რომელთა კატეგორია ჩამოთვლილია ქვემოთ:

1) სამხედრო ტყვეები, სამხედრო მოქმედების დროს დატყვევებულნი, რომელნიც მოწინააღმდეგეთა ლაშქარს ეკუთვნოდნენ.

2) ჯარში გასაწვევი პირნი, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ სამხედრო მოქმედებაში და რომელნიც გამოცხადებულ იქნენ სამხედრო ტყვეებათ, მხოლოდ ნაციონალური ნიშნებისათვის დაუყონებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნენ უფასოთ იმ ადგილას, სადაც ისინი დაატუსაღეს.

3) ის პირნი, რომელნიც რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურებდნენ და რომელნიც საომარ მოქმედების დაწყების დროს დატუსაღებულ იქნენ მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე—დაჩქარებით განთავისუფლებულ უნდა იქნენ.

4) ის პირნი, რომელნიც სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციებში მსახურებდნენ და ომის დაწყების დროს დატუსაღებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, დაუყონებლივ განთავისუფლებულ უნდა იქნას.

5) სამხედრო ტყვეების გასაცვლელ ადგილათ, რომელნიც დატუსაღებულ იქნენ საომარ მოქმედების დროს, უნდა იქნას რკინის გზის სადგური „კარაკლისი".

6) სამხედრო ტყვეების გაცვლის დღეთ, სადგურ კარაკლისზე ინიშნება 1919 წლის 20 იანვარი ახალი სტილით. ამ დღისთვის ორივე მხარემ ნაჩვენებ ადგილას უნდა მიიყვანონ ყველა სამხედრო ტყვეები ოფიცრები, მოხელეები, ექიმები და ჯარისკაცები, სადაც უნდა მოხდეს გაცვლა.

7) სამხედრო ტყვეების ეშელონებს თან უნდა ახლავდეს ორივე მხარიდან სამხედრო მინისტრების წარმომადგენელნი, სამხედრო ტყვეების სწორი სიებით ორი ეგზემპლიარათ, რომლისგანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მოწინააღმდეგე მხარის მიმღებს.

8) მე 2, 3 და 4 მუხლებში ნაჩვენები დადგენილებების სისრულეში მოყვანის ყურისგდება ეთხოვოს მიიღოს თავის-თავზე ამიერკავკასიაში მყოფ მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობის წარმომადგენელს.

(დასასრული იქნება).

# პარლამენტის დღიური

### IV.

გუშინ, როგორც იქნა, დასრულდა კამათი აგრარული კანონ-პროექტის შესახებ. პროექტი კანონათ იქცა და დღეიდან მიწის საკითხი, რამდენათ ის დამოკიდებულია კანონმდებლობაზე,—გადაჭრილია. კამათის დროს ბევრი შეუსაბამო აზრი ითქვა, მარა ამაზე ცალკე.

ამ ძირითად პროექტს მოჰყვა მეორე პროექტი—სანადელო, სახაზინო და სანაშენო მიწების შესახებ. ამ პროექტით, დღიდან მისი მიღებისა, ყველა ასეთი მიწები, ნორმის შიგნით, აღიარებულია საკუთრებათ იმ გლეხებისა, რომლებიც დღემდე მას ფაქტიურათ ფლობდნენ.

ეს დღე ბ. მაჩაბლის (ნაც. დემ.) ნამდვილი ბენეფისი იყო. ამ სხდომაზე მან გული იჯერა ლაპარაკით. ილაპარაკა საერთოთ, ლაპარაკობდა ყველა მუხლის შესახებ და სთქვა ყოველივე ის, რაც უნდა ეთქვა.—ესაა მემამულეების ჩაგვრა, მათი ისტორიული დამსახურება, ნორმის გადიდების საჭიროება და სხვა და-სხვა. რამდენათ ცუდი ეკონომისტი და პოლიტიკოსია ბ. მაჩაბელი, იმდენათ ის კარგი ისტორიკოსი აღმოჩნდა. მან ისეთი მასალები გააცნო პარლამენტს, რომ ბ. ქვარიანის ისტორიაშიაც კი არ შევხვედრივართ. აი თუ გინდ ისტორიული ეპიზოდი ცხოვრების შესახებ. საქართველოს სახელმწიფოებრივი პრინციპის გამტკიცებაში, მისი ტერიტორიის გაფართოვებაში უდიდესი წილი თურმე მიუძღვის ცხვრებს. რომ ბატებმა რომი დაიხსნეს—ეს კი, ვიცოდით, მარა თუ ცხვრები ასეთ როლს თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის ბედის ტრიალში, ეს კი არ ვიცოდით. როცა ს. თევზაძემ ადგილიდან შენიშნა: მაშ ეს ცხვრები იმპერიალისტები ყოფილანო, ბ. მაჩაბელმა ისეთი გრძელი ტირადა წარმოსთქვა ამ ცხვრების შესახებ, რომ მისი გაცნობა შეიძლება მხოლოდ სტენოგრამით.

სოც.-ფედ. და ეს-ერებმა ამ პროექტსაც წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამ რიგათ ორივე კანონ პროექტი მიღებულ იქნა მხოლოდ სოც.-დემოკრატიის ხმებით ყველას წინააღმდეგ და დარწმუნებული ვართ ისტორია ამას ერთ უდიდეს სამსახურათ ჩაუთვლის მას ჩვენი დემოკრატიის წინაშე.

ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა კანონ-პროექტი საშუალო სასწავლებლების მასწავლებლეთა ჯამაგირის მომატების შესახებ. პატარა ისტორია ამ კანონ პროექტსაც აქვს. 3—4 თვის წინათ ეს პროექტი წინასწარ განიხილა პარლამენტის საგანათლებო სექციამ. მას შემდეგ მისი პარლამენტში შემოტანა მთავრობის მიერ ვერ მოხერხდა, რადგან ამისთვის საჭირო სხვადასხვა მასალა განათლების სამინისტრომ ვერ შეკრიბა. დრო კი გადიოდა, და მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობა უკიდურესობამდე მივიდა. თან კიდევ, ახლო მომავალში პარლამენტი თავის მუშაობას ასრულებდა. ამან აიძულა პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მიემართა მთავრობის თავმჯდომარისთვის და სახალხო განათლების მინისტრისათვის, რომ მიეღოთ ყოველივე ზომა და კანონ პროექტი უეჭველათ შემოეტანათ ახლო დროში. მიმართვამ და მთავრობის თავმჯდომარის ჩარევამ გასჭრა და გან. სამინისტრომ შემოიტანა პროექტი, რომელიც პარასკევის სხდომაზე დეპ. ნ. ცინცაძის მოხსენებით უკვე მიიღო პარლამენტმა. კანონ პროექტს ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი. ყველა აღნიშნავდა მასწავლებელთა მოთმინებას, მათ გაჭირვებას და ის კი ვერ მოახერხეს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში კანონ-პროექტი შეემუშავებინათ და პარლამენტში შემოეტანათ...

დღეიდან ეს კითხვა გადაჭრილია და მასწავლებელთ მიეცემა მომატებული ჯამაგირი პირველ ენკენისთვიდან. დღეიდან ჩვენი მასწავლებლები ცოტას მოისვენებენ და უფრო დამშვიდებით განაგრძობენ მომავალ თაობის აღზრდის საქმეს.

გაბი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

25 იანვარი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ალანდიის კუნძულების მცხოვრებლებმა პარიზში გაგზავნეს დელეგაცია, რომელშიაც შედის: კუნძულების მთავარი საბჭოს 2 წევრი და ალანდიის დეპუტატი ფინლიანდიის სეიმში გ. ზუნდბლომი. დელეგაცია შვეციის მთავრობის ნებართვით გაემგზავრა პარიზში.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 24 იანვარი. მემარცხენე ესერების წევრთა დელეგაციის პრეზიდიუმმა და დამფუძნებელ კრების წევრთა კომიტეტმა სახალხო არმიას, რომელიც დამფუძნებელ კრების ყოფილმა მომხრეებმა შეადგინა, მიმართეს მოწოდებით: „დელეგაციის პრეზიდიუმი და სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტი მოუწოდებს ყველა სახალხო არმიის ჯარისკაცთ შესწყვიტონ სამოქალაქო ომი. საბჭოთა მთავრობა, ეხლანდელ ისტორიულ მომენტის დროს ერთად ერთი რევოლიუციონური მთავრობა რომელიც ებრძვის ექსპლოატატორებს და რომელმაც კოლჩაკის საწინააღმდეგოთ იარაღი აიღო. დელეგაცია, რომელშიც შედის რაკიტნიკოვი, ჩერნენკოვი, ანტონოვი და ბურევი უფიდან მოსკოვში გაემგზავრა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

პოლონელთა შემოტევა მთელ ფრონტზე შეეჩერეთ. ბრომბერგიდან პოლონელნი 10 ვერსზე არიან, ტორნს საფრთხე აღარ მოელის. მოწინააღმდეგემ იგრძნო გაძლიერებულ, კარგათ მოწყობილ გერმანულ ჯარის ძალა. მართლდება აზრი, რომ პოლონელნი მხოლოდ მაშინ იმარჯვებენ, როცა მათ წინააღმდეგ არ სდგას გაწრთვნილი სამხედრო ძალა.

ჰამბურგში ისევ იფეთქა სპარტაკელთა აჯანყებამ, რომელიც ქუჩებში ბრძოლით დამთავრდა. 22 იანვარს საღამოს, უმუშევრებმა და სპარტაკელებმა იერიში მიიტანეს პოლიციის ოთხ სამმართველოზე და ხელთ იგდეს თოფები და ტყვიისმფრქვეველნი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ საჩქაროდ მიიღო ენერგიული ზომები, გამოაცხადა ქალაქში საალყო წესები და აღადგინა წესიერება და სიმშვიდე.

სახალხო რწმუნებულმა შეიდემანმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგმა სავსებით გაამართლა სოც.-დემ. პარტიის ლიდერების მოლოდინი. მართალია, სოც.-დემ. პარტიამ ვერ მიიღო ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა, მაგრამ ბევრად სხვა პარტიებზე ძლიერი აღმოჩნდა, ამიტომ ჯერ კიდევ დიდი ხნით მას გადამწყვეტი ხმა ექნება დიდ და პატარა საკითხების გადაწყვეტაში, რაკი აშკარა გახდა რომ გერმანიის მთავრობა მომავალში პარლამენტალური იქნება, სოციალდემოკრატია მთავრობაში წარმოადგენს ავტორიტეტულ ძალას.

რურის რაიონში მაღაროს მუშების გაფიცვა შესწყდა. 23 იანვარს ყველა მაღაროებში მუშაობა განახლდა.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

საზავო კონფერენციამ, რომელსაც სურს დაეხმაროს რუსეთს, წინადადება მისცა ყველა არსებულ წრეებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ან სურთ მოიპოვონ ავტორიტეტი, ან სამხედრო კონტროლი რუსეთში, გაგზავნონ პრინცების კუნძულებზე მარმარილოს ზღვაში თითო სამი წარმომადგენელი, სადაც მათ შეხვდებათ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლები. ამ შეხვედრის მიზანია რუსეთის სურვილების გამორკვევა და სრული შეთანხმება. რუსეთს შეუძლია გამოიმუშავოს თავისი საკუთარი მიზნები და კეთილ მეზობლური კავშირი დაიჭიროს რუსეთსა და სხვა ქვეყნის ხალხთა შორის.

ინგლისელებმა და ფრანგებმა თავის თავზე მიიღეს ბაღდადის რკინის გზასთან ერთად ოსმალეთის რკინის გზის მართველობა.

# ახალი ამბები

**სომეხ ლტოლვილთა წასვლა.** გუშინ თფილისიდან სომეხ ლტოლვილთა პირველი მატარებელი წავიდა სომხეთში. მატარებელი 40 ვაგონისაგან შესდგებოდა. მეორე მატარებელი ხვალ გავა.

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტი

ამით აუწყებს ამხანაგებს, რომელთაც არ მოუხდიათ პარტიული ვალი და არ შემოუტანიათ საარჩევნო ფონდისათვის დღიური ხელფასი—დააჩქარონ შემოტანა. ფულის შეტანა შეიძლება, როგორც პარტიულ რაიონებში, აგრეთვე თფილისის კომიტეტის ბიუროში—მდივან **სინაურიძესთან**

საჭიროების გამო თფილისის კომიტეტი სთხოვს აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც წაღებული აქვთ წიგნაკები ფულის შესაკრებათ ნაწილ-ნაწილ მიუტანონ შეგროვილი ფული თფ. კომ. მდივანს. (4—4)

◆ ოსთა ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა შემუშავებულ იქნას პროექტი სამხრეთ ოსეთში საგანგებო სასამართლოს დაწესების შესახებ. იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო.

◆ ნავთსადენი. ინგლისის სარდლობის მიერ სპეციალურად შედგენილი ტეხნიკური კომისია ათვალიერებს ბათუმ-ბაქოს შუა ნავთსადენს. კომისია იკვლევს აგრეთვე ნავთსადენის მოსამსახურეთა მდგომარეობას. კომისიის მიზანია, რაც შეიძლება ახლო მომავალში გააძლიეროს ნავთსადენის მუშაობა.

◆ ხახადი. არამიანცის საავათმყოფოში სახადით ავათ გახდნენ საავათმყოფოს ექიმები: უფროსი ორდინატორი ექიმი ციციშვილი, ექიმი ქალი სლუცკაია და რამდენიმე მოსამსახურე.

◆ მოქალაქეთა კრებები. საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის (მე-8, მე-9 და მე-10 უბნის) საარჩევნო კომისიები იწვევენ მოქალაქეთა კრებას შემდეგ ადგილებში: 1) მე-8 უბანი—პირველი კომერციული სასწავლებელი კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, 2) მე 9 უბანი—წმინდა ნინოს სასწავლებელი (სასაფლაოსთან), კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, 3) მე 9 უბანი პეტრე დიდის სასწავლებელი (ჩერქეზოვის ქუჩა, 29), კვირას, 26 იანვარს, დღის 12 საათზე, 4) მე-10 უბანი—აქვალის აუდიტორია, კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე. მომხსენებლები გააცნობენ კრებას საქ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო პლატფორმას.

კრებები.

დღეს, დილის 11 საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქ. 29) დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა თანამგრძნობთა საზოგადო კრება. მომხსენებლებათ მოწვეულია პარლამენტის წევრნი: ამხ. გიგიეჩკორი და ვ. ჯუღელი. მოხსენებები გაკეთებულ იქნება ქართულსა და რუსულ ენაზე.

— დღეს, 26 იანვარს, შუადღის პირველ საათზე მე-6 რაიონულ კოლექტივის ბიუროს ბინაზე მოხდება საზოგადო კრება მე-6 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

— დღეს, კვირას, დილის 10 საათზე, მე-7 გიმნაზიის ბინაზე, დანიშნულია ალმოსავლეთ საქართ. სახალხო სკოლების მასწავლ. კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

— 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება სასწრაფო კრება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი.

## „ინტერნაციონალისტების" საქმიანობა

21 იანვარს ეწვია ენფიანჯიანცის ქარხანას ერთი სომეხი მუშა, სახელად არშაკა, რომელმაც შეკრიბა სომეხი მუშები და აგიტაციას ეწეოდა მათ შორის რასკოლის მოსახდენათ.

ამ ვაჟბატონმა თავის მიზნის მისაღწევად ათასნაირ ხრიკებს მიმართა და დემაგოგიით უნდოდა ფონს გასულიყო. მაგ. ერთ მუშათაგანს უთხრა:

შენ რისთვის დაგიჭირეს? იმისთვის, რომ ოცი წელი წევრათ იყავი სოციალდემოკრატიულ პარტიისაო.

მეორეს უთხრა: შენ რისთვის აგაკიდინეს ბოჩკა? იმისთვის, რომ შენც იყავი წევრი სოციალდემოკრატიულ პარტიისა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რაშია საქმე? არშაკამ მიპასუხა: „მთავრობამ უღალატა ხალხს. რამიშვილებმა და ჩხენკელებმა გაამეფეს პარტიაში ნაციონალიზმი, პარტია გაჰყვეს ორ ნაწილად და უღალატეს რუსეთის სოც. დემ მუშ. პარტიას, დაარსეს საქართველოს სოც.-დ. მ. პარტიაო. მაშ, თუ არა ღალატით, რითი უნდა ავხსნათ ის კანონი, რომელიც ყველა ქართველს ანიჭებს ხმის უფლებებს, სომხებს და სხვა ეროვნების ხალხს კი მოწმობებს სთხოვენო.

როდესაც ავუხსენი, რომ თუ იჭერდენ სომხებს, ამაში ბრალი მიუძღვის სომხეთის მთავრობას, რომელიც მშვიდობიანი მოლაპარაკების მაგიერათ, იარაღით წამოვიდა ჩვენზე, არშაკამ მიპასუხა: სანამდე იარსებებს ცალ-ცალკე სახელმწიფოებათ საქართველო, სომხეთი და აღერბეიჯანი, მანამდის სომხეთის მთავრობამ უნდა აწარმოოს თავდასხმითი პოლიტიკა, რადგანაც სომხეთისთვის საჭიროა გზა ზღვისკენ და ამ გზაზე არის საქართველოო.

დაავიწყდა ამ სომხის იმპერიალისტს, რომელიც სოციალისტის ენით ლაპარაკობდა, რომ ყოველივე სადავო საკითხი იარაღით კი არ უნდა სწყდებოდეს, არამედ—მშვიდობიანი მოლაპარაკებით ორ რესპუბლიკათა შორის.

მეორე ბრალდებაზე, რომელიც შეეხებოდა ღალატს და ხალხის დაღუპვას, მე მოვახსენე მას, რომ შეიძლება დაგვისახელოს მან ის მხარე ყოფილ რუსეთის ტერიტორიისა, სადაც ხალხი ჩვენზე ბედნიერათ და მშვიდობიანათ სცხოვრობდეს? შეიძლება ეს ბაქო არის, სადაც მარტში და ენკენისთვეში ამოხოცეს ათასობით მშვიდობიანი მცხოვრებნი, ან შეიძლება მას კავკავი, როსტოვი, მოსკოვი ან ცარიცინი მიაჩნდეს ასეთ ბედნიერ კუთხეებათ, საცა სისხლის მორევში სცურავს რუსეთის პროლეტარიატი.

მესამე კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მე ვუპასუხე, რომ შეუძლებელია საქართველოს არა ქვეშევრდომთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, რომლის მომეტებული ნაწილნიც არ სცნობენ თავისუფალ საქართველოს, ძირს უთხრიან მას და ცდილობენ მის დანგრევას. ჩვენი შეგნებული პროლეტარიატი მხარს არ აქცევს თქვენ გვარ „ინტერნაციონალისტებს".

თუ მართლა ინტერნაციონალისტი ბრძანდებით, რათ შეაგროვეთ მარტო სომეხი მუშები? ქართველ მუშებს რათ გაურბიხართ?

საჭიროა ჩვენმა პარტიამ დაუყონებლივ ჩამოართვას ის მოწმობები, რომელიც ჰქონდათ პარტიიდან მიცემული ამ ვითომდა „ინტერნაციონალისტებს", ვინაიდან არშაკამ ამოიღო ერთი მუჭა მოწმობები იმის დასამტკიცებლად, რომ ის კომიტეტის წევრი არის.

პეტრე მეშარნიშვილი.

## მთავრობაში

18 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

1) ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები დაკმაყოფილებულ იქნან ჯამაგირებით პირველ რიგში. 2) მიეცეს წინადადება სახელმწიფო კონტროლიორს და ფ ნანსთა მინისტრს, რათა მათ მთავრობის 22 იანვრის სხდომაზე წარმოადგინონ დასკვნები ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შესახებ.

—

ნოვოროსიაში არსებულ რუსეთის წითელი ჯვრის სამხედრო ტყვეების საქმეთა ცენტრალურ კომიტეტის სანიტარულ განყოფილებასთან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა დაევალოს ჩინიჯაშვილს, რომლის სახელზედაც დაგზავნილ იქნას მთავრობის 14 იანვრის დადგენილებით გაღებული თანხა და მიეწეროს მას ყოველგვარი ზედამხედველობა გაუწიოს სამხედრო ტყვეების გადმოგზავნის საქმეს.

ქალაქ ფოთში და თფილისში საკვები პუნქტების გახსნის შესახებ რუსეთის წითელ ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული მოელაპარაკოს რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის განსაკუთრებულ რწმუნებულს.

—

დაუყონებლივ მიღებულ იქნეს სამხედრო უწყების მიერ ენერგიული ზომები რესპუბლიკის საზღვრების დაცვისა და გამაგრებისა.

## საჭირო განმარტება.

ამ სათაურით გუშინდელ „სახალხო საქმეში" დაბეჭდილია შემდეგი:

„ერთობის" იანვრის 19 ნომერში დაიბეჭდა ცნობა თელავიდან ადგილობრივ კომისარის მიერ გამოგზავნილი, რომ თელავის სადგურზე სამხედრო მინისტრის გაცილების დროს დაჭერილ იქნა სასროლი ყუმბარით ხელში სოც.-ფედერალისტების პარტიაში მოსამსახურე მუხერაძე".

ეს ცნობა გადაბეჭდეს რუსულმა გაზეთებმა და შემდეგი პროვოკაციული სათაური გაუკეთეს: „სამხედრო მინისტრის გიორგაძის მოკვლის განზრახვა".

რადგან ამისთანა უადგილო და უაზრო ცნობამ შესაძლებელია გამოიწვიოს არა სასურველი მითქმა-მოთქმა, საჭიროდ მიმაჩნია ამ საქმის ვითარება გადმოგცეთ ზედმიწევნით და დანამდვილებით ისე, როგორც ის მოხდა.

იანვრის 17, დილის 10 საათზე, წერილი მივიღე მაზრის კომისარ არონიშვილისაგან. მთხოვდა მივსულიყავი ფრიად საჭირო საქმეზე მოსალაპარაკებლად. დანიშნულ დროზე, რასაკვირველია, ვეახელი. მან მითხრა: წუხელ სამხედრო მინისტრს თელავის სადგურზე ვაგონში შესვლამდი სადგურის კომენდატმა მოახსენა, რომ აქ კაცი გვყავს დაჭერილი, რომელსაც ბომბა აღმოაჩნდაო, გვარად მუყერაძე ს.-ფედერალისტების რაზმელიო. მინისტრი ცოტათი შეფიქრიანდა. მაშინ მე მოვახსენე: ბატონო მინისტრო! გარწმუნებთ, რომ აქ არავითარი ცუდი განზრახვა არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში მე დაწვრილებით გამოვიძიებ და მოგახსენებ მეთქი.

მე მართლაც გამოვიძიე და არაფერი ისეთი აღმაშფოთებელი არ აღმოჩნდა".

დავაძახებინე ჩვენი დატყვევებული რაზმელი. აღმოჩნდა ყოვლად უწყინარი და პატიოსანი ჩემი მეზობელი ჩვენი პარტიის მებრძოლთა რაზმის წევრი ამხანაგი სიმონ მუყერაძე.

— ამხანაგო! რა მოგსვლია ეს? კინაღამ თავი დაგიღუპავს მეთქი.

მითხრა: გუშინწინ დავბრუნდით სახლში, გუშინ კიდევ სადგურზე მივდიოდი ბიძაშვილის დასახვედრად. მეზობელმა აზარფეშით ღვინო დამალევინა და დავითვერი. სადგურზე არ ვიცი მე ვისმე წავეჩხუბე თუ სხვები წამეჩხუბნენ. მახსოვს მხოლოდ: როცა ძალიან გამაჯავრეს და დამედევნენ, კანტორაში შევვარდი, სასროლი გრანატი ხელში დავიჭირე, კაპსული გაუკეთე და დავიძახე: მომშორდით თორემ ყველას დაგხოცავთ მეთქი. ამის შემდეგ მოვიდნენ მილიციონერები და დამიჭირეს. კომისრის შეკითხვაზე: მინისტრის წინააღმდეგ ხომ არაფერი განზრახვა გქონდაო, —მიუგო: თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონო კომისარო, რომ ჩვენი პარტია სავსებით მხარს უჭერს ჩვენს მთავრობას, ჩვენ თავდადებული ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას, შემდეგშიაც დავიცავთ და თავსაც შევწირავთ, და მინისტრის მოკვლას რად განვიზრახავთო. ამის შემდეგ ამხ. მუყერაძე განთავისუფლეს და ჩემთან წამოვიდა.

აი, ეს უბრალო საქმე, როგორ გააზვიადეს რუსულმა გაზეთებმა.

აი როგორ იწერება ისტორია?

თელავის კომიტ. თავმჯდ. გრიგოლ ბურჭულაძე.

## მუშათა შორის

მთავარი სახელოსნოები. 22 იანვარს (ძველი სტ. 9 იანვარს) 1919 წ მთავარ სახელოსნოების და დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა მუშაობის დათავებამდე გამართეს მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ვ. ჯუღელი და რ. ჩიხლაძე. კრება გახსნა რკ. გზ. დეპ. და მთ. სახელ. მუშა-მოსამსახ. პროფეს. კავშირ. გამგ. თავმჯდომარის ამხ. ლაპკინმა, რომელმაც მოკლედ გააცნო კრებას 9 იანვ. 1905 წ. პეტროგრადში მომხდარი ხალხის ჟლეტა. როცა ისინი ენდნენ მღვ. პროვოკატორ გაპონს და მიდიოდნენ მეფესთან პურისა და სამართალის სათხოვნელად, მეფემ მათ დაახვედრა ამის მაგიერ ხიშტები, თოფები და ტყვიისმფრქვეველები. აქედან, 1905 წლის 9 იანვრიდან, მიხვდა რუსეთის პროლეტარიატი, რომ ახლა კი მართებს სამზადისი და ბრძოლა მეფის ტახტის წინააღმდეგ. ამ დღიდან დაიწყო ბრძოლა და 12 წლის განმავლობაში მან მიაღწია რუსეთის დიდ რევოლიუციას. და აი, სწორედ ამ დღეს ვიგონებთ ჩვენ დღეს.

სიტყვის დათავების შემდეგ აქვე მომღერალთა გუნდი იწყებს სამგლოვიარო გალობას. ხალხი ქუდმოხდილი ისმენს.

ვ. ჯუღელმა კარგათ დაუსურათა დამსწრეთ დღევანდელი ვითარება, რომ ამ გაჭირვებულს დროში არავის ჩვენგანს არ მოსწყინდეს ჯერ დაუმაგრებელ თავისუფლებისათვის ბრძოლა. რ. ჩიხლაძემ ჩვეულებრივ ლამაზი სიტყვა ქართულ ენაზე წარმოსთქვა.

დასასრულ თავმჯდ. სიხარულიძემ მიმართა მუშებს, რომ მათ მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში და არ დაიკარგოთ ხმა. რევოლიუციონურ სიმღერებით ხალხი დაიშალა.

შ. დედანაშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 23 იანვარს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის და ამავე რაიონის უბნების საარჩევნო კომისიის წევრთა შეერთებული კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება არჩევნების შესახებ, არჩევნების დღის უბნის ყუთის თავმჯდომარისა და პარტიის წარმომადგენლის კანდ. დასახელება, მასიური კრებების გამართვა, პლაკატები, ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში ერთი წარმომადგენლის არჩევა, ფაბრიკა „კომეტას" წარმომადგენლის განცხადება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საარჩევნო კომპანიის სამზადისის საქმე განსაკუთრებით ამ რაიონში კარგათ მიდის. უბნის კომისიებს სიაში შეუტანიათ დღემდის გამორჩენილი 3000 მეტი მოქალაქენი, და ფაბრიკა-ქარხნებში ხშირ-ხშირათ იმართება კრებები, სადაც ჩვენი მოწინავე ამხანაგები აკეთებენ მოხსენებას არჩევნების შესახებ და აცნობენ მუნიციპალურ პლატფორმას. კრება ასახელებს უბნის ყუთების თავმჯდომარისა და პარტიის წარმომადგენლის რამდენიმე კანდიდატებს. მასიური კრებების მოწვევის შესახებ კრება წინადადებას აძლევს უბნის საარჩევნო კომისიებს, კვირას, 26 იანვარს თავ-თავიანთ უბნებში მოიწვიონ მოქალაქეთა საზოგადო კრება, სადაც მომხსენებლები გააკეთებენ მოხსენებას არჩევნების შესახებ და სისწორით გააცნობენ ფართე მასას მუნიციპალურ პლატფორმას. კრება ადგენს ამთავითვე მიექცეს დიდი ყურადღება საარჩევნო პლაკატებისა და ფურცლების გავრცელების საქმეს. კრებამ თფილისის კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში წარმომადგენლათ გაგზავნა ამხ. ფ. ლორია.

ფაბრიკა „კომეტის" წარმომადგენლის მოხსენების შესახებ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფის წარმომადგენელნი, ბ-ნ არშაკ ზურაბოვის სახით, ერთი ფაბრიკიდან მეორეში გადადის და ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიანო, კრება ადგენს—მიექცეს სათანადო ყურადღება ამ მოვლენას და ფაბრიკა-ქარხნებში მყოფ ჩვენს ამხანაგებს დაევალოს, შესაფერი პასუხი გასცენ მათ.

თედო ხუხუნაიშვილი.

## პროვინცია

ხევი. 29 დეკემბერს ადგილობრივ ჯარების უფროსის ბ. პოლკოვნიკ წერეთლის მოთხოვნილებით მოხდა სოფ. ყაზბეგში მოხევეთა სათემო ყრილობა, სადაც საკმაოდ ბლომად ხალხი დაესწრო. პოლკ. წერეთელმა კრებას წაუკითხა მთავრობის დეპეშა, რომ დუშეთის მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა, მაზრის გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბ. სრესელი და მის თანაშემწედ თვითონ ბ. წერეთელი. მათ ექვემდებარება მაზრაში ყველა სოფლის მოხელენი, სამოქალაქო დაწესებულებანი და სხვა. მოუწოდა საზოგადოებას მშვიდობიან ცხოვრებისკენ და გააფრთხილა—თუ ვინმე უწესოებას ჩაიდენს, სასტიკად დაისჯებაო. ამის შემდეგ შეეხო სომხების ომს ქართველებთან და გამოაცხადა მობილიზაცია ცხენებისა და ახალგაზრდებისა და დაუმატა: ვისაც რამდენი სურდეს ომის საჭიროებისთვის შესწირონ.

ხალხი ამოძრავდა, ერთს ადგილზე დგომას ვეღარ ითმენენ, ღელავენ და მტერზე იმუქრებიან: „ყველა მზათ ვართ სამშობლოს დასაცველად, არც თავი გვენანება და არც ცხენები, ჩვენ დავანანებთ მტერს ჩვენთან მტრობასაო", დაიწყეს შეწირულობა 20, 50, 100 და 200 მანეთობით სწირავენ, ჯამი შეწირულობისა 7000 მან. აღემატება კრებაზე ნათქვამი იყო, რომ მეორე დღესვე უნდა მოეყვანათ ყველას ცხენები ყაზბეგში და აქვე გამოცხადებულიყვნენ მობილიზაციაში მოყოლილი ყმაწვილკაცობა. აქვე ჩაეწერნენ ბევრი მოხალისენი. ერთის სიტყვით საზოგადოება ისეთი ხალისით და სიხარულით მიეგება ამ ომის გამოცხადებას, რომ ომში კი არა, კაცს ეგონებოდა ქორწილში იწვევენო. ბ-ნი წერეთელი იმიდენად ნასიამოვნები დარჩა ამ ხალხის თანაგრძნობით, რომ მაშინათვე დეპეშა გაგზავნა მთავრობაში და აცნობა მოხევეთა თანაგრძნობა და ერთსულოვნობა სამშობლოსადმი.

შემდეგ კრებამ გამოსთქვა უკმაყოფილება ადგილობრივ მილიციონერებზე და კომისარზე. დამტკიცდა ყრილობაზე, რომ ესენი ხალხს ცუდუბრალოდ სტანჯავენ, სცემენ და ატუსაღებენ ზოგჯერ ორიოლ კვირაობით. ასე ცუდუბრალოდ დასაჯეს ბესო ფიცხელაური, გუგუა შიოლაშვილი, ილიკო ლუდუშაური, ნანე კვირიკაშვილი და სხვები. გამოირკვა, რომ ამ უწესოების გარდა სიყალბესაც სჩადიან: აძლევენ უცხო ქვეყნის ხალხს და ვილაცა მაწანწალების სასყიდლით ყალბს მოწმობებს, ვითომც ისინი ყაზბეგის რაიონის მცხოვრებნია, ვინ იცის ვინ რას ახერხებს ახეთი ყალბი მოწმობებით; როგორც ამბობენ, ეს გუბერნიის კომისრისათვისაც ცხადია. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამ სიყალბეს.

აგრეთვე კრებამ უკმაყოფილება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ კომისარი ალექსანდრე ფიცხელაური 7 კვირა თფილისში იმყოფებოდა თავის საკუთარ სავაჭრო საქმეებისთვის, თავისი თანამდებობა ჩააბარა ადგილობრივ სკოლის მასწავლებელს ზანდარაშვილს, ეს უკანასკნელი კომისრის თანამდებობის ასრულებას შეუდგა და 7 კვირით ყმაწვილების სწავლა კი შესწყვიტა.

კრებამ ახალ კომისრად დაასახელა კოლა დავითაშვილი, უნდა აერჩიათ სამი მოსამართლე და სამიც ხევის რწმუნებული. ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ მთელი ხევის ინტერესის დამცველნი და მეთვალყურენი სოფლის მოხელეების ქცევისა, რომ მათ პირნათლად და სინიდისიერად აესრულებინათ თავისი მოვალეობა. კრებამ თუმცა ასე გადასწყვიტა, მაგრამ ამსრულებელი კი არავინ იყო—ვის უნდა გადაეყენა ძველი კომისარი და მისი თანამდებობა და საქმეები ჩაებარა ახლისთვის. გენ.-გუბერნატორის თანაშემწემ პოლკოვნიკმა წერეთელმა ნეიტრალიტეტი დაიჭირა. წამოიჭრა კომისარი ფიცხელაური და განაცხადა, რომ მას მთავრობისაგან დავალებული აქვს მისი თფილისში ყოფნის დროს სხვადასხვა საგანგებო სამხედრო საქმეები და ხალხისგან არჩეულ კომისარს დავითაშვილს ის სტოვებს თავის თანაშემწეთ სამოქალაქო საქმეების ასასრულებლათ. სასამართლო მთავრობისაგან გაუქმებულია და მისი უფლება ჩემზე გადმოვიდაო, თუ თქვენ ყველაფერი ისევ ძველებურად გინდათ, სჩანს ჩვენს ახალ მთავრობას არ ემორჩილებით და მის წინააღმდეგ მიდიხართო. კომისარს შეეკამათა ერთი დამსწრეთაგანი ს. შადური, რომ მისი სიტყვები სულ ტყუილია და მოგონილი. მთავრობა მაგისთანა განკარგულებას არას დროს არ იზამს, რომ ხალხს მოსამართლეების და სოფლის მოხელეების არჩევის უფლება ჩამოართოს; ამისთანა ხმებით მთავრობას ხალხში ნდობას უკარგავთ და თქვენს პირად სურვილებს მთავრობას აჰკიდებთ თავზე. ხალხი უსამართლოდ იტანჯება, კომისარი კი ვისაც როგორის თვალით უყურებს ისეთს სამართალს აძლევსო, დააბოლოვა აღელვებით სიტყვა მოლაპარაკემ. ბ. პოლკ. წერეთელიც ეთანხმება შადურს, მხოლოდ შენიშვნას აძლევს უადგილო სიტყვისთვის („ყურუმსაღლობაო") აცხადებს, რომ ეხლა ახალი არჩევნების დრო არ არის და ისევ ძველი კომისარი დარჩესო. ხალხს ეს სიტყვები ისე მოხვდა, თითქო მდუღარე წყალი გადაასხესო, ერთი საათის წინ ლომებივით მღელვარე და აბობოქრებული ხალხი მტრის წინააღმდეგ, ეხლა მოხარშულს დაემსგავსა, ჩაკვდა, მოლუნდა, თითქო მტრის ალყა შემოერტყა და ყველა ტყვედ მოჰყავა. ხმა, კრინტი აღარავის დაუძრავს; ამისი მიზეზი კიდევ ისიც იყო, რომ ბოლშევიკური გამოსვლების დროს ხევის 19 სოფელმა მონაწილეობა მიიღო და ეხლა ამათ მეტი სიტყვა ვეღარ გაებედათ არამც, კიდევ მთავრობის ორგულობა დაგვწამონო. ყაზბეგელებმაც ხმა აღარ ამოიღეს, რადგანაც წინა კვირას სოფელმა ერთხმად დაადგინა პოლკოვნიკ წერეთლის თანდასწრებით კომისარი ფიცხელაურის გადაყენება, მაგრამ წერეთელი წინააღმდეგი გახდა, მთელი ხევის კრებამ უნდა გამოსცვალოსო.

კრება იშლება და ხალხი თავის ქნევით უკმაყოფილებას აცხადებს. სწრაფად შეიცვალა ერთს საათში ამ აღელვებული ხალხის გული და თავგასული ადამიანის უმზგავსს საქციელში მთავრობის დანაშაულობას ხედავდნენ.

მეორე დღეს მილიციონერები ხევის სოფლებში დადიოდენ და უცხადებდენ ხალხს, რომ ყველას მოეყვანათ ყაზბეგში ცხენები და მობილიზაციაში მოყოლილი ყმაწვილკაცობა გამოცხადებულიყო სოფლის კანცელარიაში. დაიმედებულნი კომისარი და პოლკოვნიკი წერეთელი, რომ ყველაფერი თავის დროზე ასრულდება, იმ დღეს სასტუმრო „გრანდოტელის" წინ ერთად მხიარულად დასეირნობდნენ, ამ სასტუმროში ხსენებული კომისარი ვაჭრობს. ორი სამი დღე გავიდა, რომ მილიციონერებმა ვერც ერთი ცხენი სასალდათო ბიჭი ვერ მოიყვანეს. ბოლოს თითონ კომისარმა შეიწუხა თავი და წაბრძანდა სოფლებში. საქმე იქამდი მივიდა, რომ ს. სნოროძელიც ცნობილია სამშობლოსა და მთავრობის ერთგულებაში—წინააღმდეგად ჩაითვალეს, ერთი როტა შეიარაღებული სალდათები თავისი აფიცრით მიიყვანეს და საქმე იმითი გათავდა, რომ რამდენსამე „წინააღმდეგს" სოფლელს გვერდები აუწითლეს ცემით და საპყრობილეში ჩაჰყარეს. ცხენები კი მოაყვანინეს, მაგრამ მობილიზაციაში მოყოლილი ახალგაზრდობა მაინც ვერ მორეკეს. რაც კარგი ცხენები იყო მაშინათვე მილიციონერებმა გამოსცვალეს თავის ჯაგლაგა ცხენებზე, ვინც უცხენო მილიციონერი იყო, თითო ცხენი თავისთვის აიყვანეს. ამის დამნახველმა სოფლელებმა მხოლოდ ბრმა, კოჭლი და ჯაგლაგა ცხენები და მოუყვანეს ომისთვის გამოუსადეგარი. ამისთანა აურ-ზაური 29 დეკემბრიდან ათ იანვრამდის გაგრძელდა და ვერც ცხენები და ვერც სასალდათო ბიჭები ვერ შეკრიბეს. მერე გამოცხადდა სომხებთან შერიგება და აღარც ერთი დარჩა საჭირო და აღარც მეორე. ამ დღემდინ ელოდინა თფილისიდან გამოგზავნილი აფიცერი დავითაშვილი ცხენებისა და სალდათების მიღებას და შემდეგ ისიც ცარიელი დაბრუნდა თფილისში.

ამ მობილიზაციის დაბრკოლებას ერთი ხელის შემშლელი გარემოება სხვაც დაერთო: ზოგი ოჯახიდან ვისაც 3—4 ცხენი ყავდა სახლში

არც ერთი წაიყვანეს და ზოგს კი ერთად ერთი ოჯახის მარჩენელს ცხენიც ცემა-ტყეპით წაართვეს. ასევე მოხდა სალდათში წამსვლელ ყმაწვილკაცებისაც. ბევრი შეძლებული ოჯახისშვილი დეზერტირები მთელი ზაფხული სახლში არიან და თავის საქმეებზე მუშაობენ თავისუფლად, დაუმალავად, ამათ არც არავინ ერიდება სამსახურში და არც ვისმე ოქმი შეუდგენია მათი დანაშაულობისათვის. ზოგი საწყალი ღარიბი ოჯახის შვილები და დედის ერთები კი პირველიდანვე სამსახურში არიან. ხალხი ასეთმა უსწორობამ, უსამართლობამ გადარია, ხალისი დაეკარგა და ნაწყენი დარჩა.

ყველგან, რომ მობილიზაციის საქმე ასე უკუღმა დატრიალებულიყო, ცხადზე ცხადია სამშობლოს რა ბედისწერაც მიელოდა! ამისთვის მეტი არ იქნება მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მობილიზაციის დაბრკოლებას, მეტი კი არა აუცილებლად საჭიროა ვინ და რა არის მიზეზი, რომ ორ დღეში გასაკეთებელი საქმე 12—13 დღეშიაც ვერ გააკეთეს და შერიგებას, რომ არ მოესწრო, საქმე (მობილიზაცია) მაინც გასაკეთებელი დარჩებოდა და იქნება მაშინ დამნაშავე. უდანაშაულო გამოსულიყო და ხევის ხალხი კი—დამნაშავე. დიდი უსამართლობა იქნება, რომ ბ ნ პოლკ. წერეთელს უმოქმედობა დავწამოთ. პირიქით, დიდათ ვაფასებთ და უმადლით მის ბეჯითსა და მუყაითს საქმიანობას, ორი თვეა, რაც იგი ჩვენში მოვიდა და ამ მოკლე ხანში ბ ნმა წერეთელმა ბევრი სიკეთე დაგვდო: მან მოსპო თავაშვებული უსაზღვრო ლოთობა ხევში და ქუჩა ქუჩა „ზალპებით“ თოფების სროლა. საღამოთი 6 საათიდან მთვრალს ადამიანს დუქანში ან ქუჩაში ვერ ნახავთ. ასეთსავე სიფხიზლეს იჩენს ყაზბეგში გამვლელ გამომვლელ და მგზავრების და კონტრაბანდისტების დაჭერაში, ქურდ-ბაცაცების აღმოჩენაში და სხ. ხევში დაამყარა შესამჩნევად დიდი სიმშვიდე, ერთი სიტყვით ბ-ნი წერეთელი ყველგან არის, ყველას ხედავს და ძნელად თუ რამე მას გამოეპარება. მაგრამ თავის თვალით თვალში და გონებაში ეჩხირება კაცს ის გარემოება, რომ ვერ იპოვნა თავი და თავი მიზეზი მობილიზაციის დამაბრკოლებელი. აქ რომ ხალხი უდანაშაულოა, ამას ამტკიცებს მათი გულუხვი შეწირულობა ომის საჭიროებისთვის და თვით ბ ნ პოლკ. წერეთლის დეპეშა მთავრობაში გაგზავნილი, რომელშიაც იხსენიებს მოხევეთ ვაჟკაცურად, აღფრთოვანებით, სამშობლოს სიყვარულით და თანაგრძნობით შეხვედრას მობილიზაციის გამოცხადების დროსა.

მაშ ვინღაა ამ საქმეში დამნაშავე?!

დანაშაულობა ამ საქმეში იმას მიუძღვის და პასუხიც უნდა აგოს, ვინც ნათელი საქმე დააბნელა, ვინც წმინდა წყალი ამღვრია, ვინც ხალხისთვის და სამშობლოსათვის თავდადებული ჩვენი მთავრობა ხალხს შეაჩვენებინა.

ვ. ქ.

## ცნობები

11 დეკემბერს სომხის ჯართან ბრძოლაში სოფელ ავანდარში (ვორონცოვკის მიმართულებით) გმირულად დაიღუპა ოფიცერი ისიდორე (რუბენ) ბაგრატის ძე პაპუაშვილი. ჯარისკაცები დიომიდე აფხაზავა და მესროპაშვილი, რომლებიც მსახურებდნენ თფილისის საგუბერნიო ბატალიონში და რომლებიც დროებით დასაფლავებულნი არიან სოფელ უზუნლიარში.

## განცხადებანი

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე

**მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი

**ა. ნ. შატილოვი**

იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექიმი ნ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი ქალი

**რ. გ. ფიფია-საგანაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. ელისაბედის ქ. № 82, ტელეფონი № 9—26.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი მედიცინის დოქტორის

**გ. მერაბოვისა**

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, შლეკის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ხაწყლებს უფასოდ.

კბილის საექიმო კაბინეტები

თედორე ხაშმარელის ძე ცხოვრელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარიატინს), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12 —1½ საათამდე, საღამოს 5—6 ½, მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ექიმი

**კეკელია**

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ზ უ გ დ ი დ ი ს

**სამაზრო ერობის გამგეობა**

იწვევს ექვს მომრიგებელ მოსამართლეს თხოვნები და გავლილი სამსახურის საბუთები უნდა წარმოადგინონ ზუგდიდში ერობის გამგეობის სახელობაზე იანვრის დამლევამდე. (4—2)

## საქართველოს მოქალაქეთა მიმართ

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არაჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადიდ დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევსდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არაჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავლის გასაძლიერებლად, მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არაჩვეულებრივ მოთხოვნილებათ რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკას ლიკვიდაცია ომით გამოწვეულ ხარჯებისა.

ამიტომ, საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდოდეს, სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არ მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რარიგ შეღავათიან პირობებშია ეგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ, ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არსებულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ, როგორც საწინდარი, ისე სხვადასხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით, ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობენ სესხის დაუყონებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებულია ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას; ისტორია ავად მოიხსენიებს იმათ, ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევა ეძლევა შეძლებულ პირებს, დაამტკიცონ თავისი მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათ საზოგადოების ფართო წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასათვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმართველობანი, კოოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით განაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურცერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

(10—1) დედანთან სწორია. საქმის მწარმოებელი გ. აბაშიძე.

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 26 იანვარს დღით, კატა, თხა, ცხვარი, 7 ციკანი,

**წითელი ქუდი და კორონება უკრაინაში**

საღამოს, ბენეფისი ადმინისტრატორ ა. ა. გურესისა, საბანეევას, მოროზოვას, ზალიპსკის, ნიკოლსკის, დემიანენკოს და კურბატოვის მონაწილეობით გოფმანის ზღაპრები.

ყოფილი ბო-მონდი **მუშათა კლუბი** ყოფილი ბო-მონდი

კვირას, 26 იანვარს 1919 წელს თფილისის რესტორანების, კლუბების და სხვა მოსამსახურეთა პროფ. კავშირი მართავს საღამოს, თავის ცუდათ დარჩენილ წევრების სასარგებლოთ.

I აჩვენებენ სინემატოგრაფს —II გაიმართება **ცეკვა ევროპიული და აზიური**

დაუკრავს ზაზანდარი და როიალი. იქნება ფანტა, კონფეტი და სხვა. ტანცმეისტერი ს. დ. სიმხოვიჩი. დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადმინისტ. კომ. წევრი ალ. გოჩიტაშვილი.

## განცხადება

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორთავე სქესისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები, მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები: 1) სქესი მოსწავლისა, 2) მოსწავლეთა რაოდენობა და 3) რომელ კლასში სურს შესვლა. სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში.

მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეტანილი აქვთ მეორე ნახევარი სწავლის ფული და მით ისურვებენ ზემო აღნიშნულ გიმნაზიაში გადმოსვლას, ეს ფული უკან დაუბრუნდებათ. ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. (10—1)

## სახელმწიფო თეატრი „კავშირი“-ს დასი.

წარ. № 15 ორშაბათს, 27 იანვარს წარ. № 15

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მერვედ ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფეერია 1 ნაწ: 3 მოქმ. და 7 სურ.

**სინათლე**

ბალეტი გ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით ხორო და ორკესტრი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: დიდი ამბავი ტყუილ უბრალოდ, სინათლე მეორე ნაწილი.

## თფილისის მაზრის საერობო გამგეობა

იწვევს ქართული ენის მცოდნე სტატისტიკს, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკმაო თეორიული და პრაქტიკული მომზადება. მისამართი: რუსთაველის ქ. (გოლოვინის პრ., № 6). მოლაპარაკება შეიძლება თერთმეტის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდის. (2—1)

## „ალორძინების“ წევრებს

საზოგადოების ყოველ წევრს მიწერილი აქვს ნავაჭრ საქონელზე 18 ნოემბრიდან 1918 წლის 31 დეკემბრამდე მანეთზე 3 კაპიკი (გარდა პურისა და შაქრისა).

ვისაც ჰსურს გასინჯოს ჩაწერილი თავიანთი ნავაჭრი ვსთხოვთ წარმოადგინონ საზოგადოების კანტორაში (ვერის დაღმართი № 12) 9 დან 1 საათამდე თავისი საანგარიშო წიგნაკი და ჩეკები არა უგვიანეს ამა წლის 15 თებერვლისა. აღნიშნულ ვადის შემდეგ გასინჯვა აღარ შეიძლება.

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის

(მე-8, მე-9 და მე-10 უბნების.) საარჩევნო კომისიები

იწვევენ მოქალაქეთა კრებებს შემდეგ ადგილებში: მე-8 უბანი. 1. კომერციული სასწავლებელი, კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე.—2. მე-9 უბანი, წმინდა ნინოს სასწავლებელი (სასაფლაოსთან) კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევს 3 საათზე.—3. მე-9 უბანი პეტრე დიდის სასწავლებელი (ჩერქეზოვის ქუჩა, 29.) კვირას, 26 იანვარს, დღის 12 საათზე.—4. მე-10 უბანი. ავჭალის აუდიტორია კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე.—5. მე-10 უბანი, სახალხო უნივერსიტეტი, კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე.— მომხსენებლები გააცნობენ მოქალაქეთ საქარ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო პლატფორმას.

რესტორანების, კლუბების, საჩაე-საყავეების და სხ. პროფ. კავშირ. გამგეობა ამით საყოველთაოთ, აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ორშაბ. ამა თვის 27-ს (ახ. სტ.) ზუბალაშვილების სახ. სახლში, დილის 9 ს. დანიშნულია ხსენებულ კავშირის წევრთა

## საერთო წლიური კრება

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) გამგეობის მოხსენება 1918 წ. შემოსავალ-გასავლის შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, ბორჯომი და ვაგზლის ბუფეტების შესახებ, 3) გამგეობის წევრების და მათი კანდიდატების არჩევნები, 4) სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატების არჩევნები, 5) გადიდება თვიურ ხარჯის ფულისა და ჯამაგირებისა, 6) უმუშევართა საკითხი და განცხადებები. ვინაიდან კრება წლიურია და მასთან მეტად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი, გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ამხ. წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას. (2—2)

## განცხადება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების სამასალო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 28 იანვარს 1919 წელს დილის 10 საათზე დანიშნულია აუქციონით გაყიდვა სამუშაოსთვის სავსებით გამოსადეგი ცემენტი შემდეგ ნაჩვენებ სადგურებზე. სადგურ თფილისში მთავარ სამასალოს საწყობში 3196 ტომარი. სადგურ ხაშურში სამასალო განყოფილებაში 9196 ტომარი. სადგურ სამტრედიაში სამასალო საწყობში 4231 ბოჩკა და 4200 ტომარი. სადგურ ფოთში ლიმანდაგის 2 უბნის საწყობში 1300 ბოჩკა. დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ მთავარ სამართველოში სამასალო განყოფილების უფროსთან. დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე კვირა-უქმე დღეების გარდა. (2—2)

მ ე ო თ ხ ე რ ა ი ო ნ უ ლ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი

კვირას, 26 იანვარს, დილის 11 საათზე თავის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა № 29) დანიშნულია ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საგანგებო

## —საზოგადო კრება—

დღის წესრიგი: 1) ჩვენი საარჩევნო პლატფორმა. მომხსენებელი საქართველოს პარლამენტის წევრნი: ევგ. გეგეჭკორი და ვ. ჯუღელი; 2) მიმდინარე კითხვები. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—2) მე-4 რაიონული კოლექტივი.

## ქალაქის შრომის ბირჟა

ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებებს: ქალ. თბილ. ბანკებს, კანტორებს და სხვ., რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა; სხვა და სხვა გვარ პროფესიებისა, რომელნიც სამუშაოს უქონლობის გამო იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში. შრომის ბირჟა იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები, როგორც მუშებზე ისე ყოველგვარ მოსამსახურეებზე შარშანდულად გამოგზავნილ იქნება ბირჟაში, რაც მოგვცემს საშუალებას ცოტათი მაინც შევამციროთ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟა აგზავნის რა უმუშევართ სამუშაოზე ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი და უგზავნის მათ სასარგებლო და საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა 4,000 უმუშევართ, რომლებმაც სავსებით შეასრულეს დამქირავებლების მოთხოვნილებანი; რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი ნდობა, როგორც კერძო დამქირავებლების აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ. შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობების მიმწოდებელი ბიურო“, რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს. უმუშევართა პროფესიის და მათი ხელფასის შესახებ. შრომის ბირჟა **უფასოთ** აწარმოებს საქმეებს, როგორც **უმუშევრებისათვის ისე დამქირავებლებისათვის**. ბირჟასადმი მიმართვა შეიძლება როგორც წერილობით ისე ტელეფონით. ბირჟა ღიაა ყოველ დღე: დილის 9 საათიდან 3 საათამდე. გარდა კვირა და უქმე დღეებისა, მისამართი—მადათოვის ქუჩა № 11 სახლი ზუბალოვისა, ყოფილ „ლონდონის“ სასტუმროში. ტელეფონი 8-12

სტამბა რუსთაველის, გაბაევის შესახვევი. № 1.